

საკრებულოს წევრის საქმიანობის ყოველკვარტალური ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: ავაკი გვიანიძე

საკრებულოში დაკავებული თანამდებობა: -

ფრაქციის წევრობა: -

კომისიის (კომისიების) წევრობა: 1. განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის

საკითხთა კომისია. 2. იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.

არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით): პროპორციული - „გახარია

საქართველოსთვის“

საანგარიშგებო პერიოდი: 2022 წლის III კვარტალი

განხორციელებული საქმიანობები:

1. საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი: **3 (სამი)**
2. საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა
36 (ოცდაორი)
3. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა - **იხ. დანართი N1**, რომელშიც დეტალურად არის მოცემული გამართულ კენჭისყრებზე ჩემ მიერ დაფიქსირებული პოზიციები.
4. საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა, რომელშიც მიღო მონაწილეობა ანგარიშის წარმდგენმა - **5 (ხუთი)**
5. კომისიების მიერ ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა
იხ. დანართი N1, რომელშიც დეტალურად არის მოცემული გამართულ კენჭისყრებზე ჩემ მიერ დაფიქსირებული პოზიციები.
6. საკითხები, რომლებსაც კომისიების სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა - **იხ. დანართი N1**, რომელშიც დეტალურად არის მოცემული გამართულ კენჭისყრებზე ჩემ მიერ დაფიქსირებული პოზიციები.

7. ანგარიშის წარმდგენის მიერ საკრებულოში ინიცირებული საკითხები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქალაქ ბათუმში ავარიული სახლების საკითხის შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი;

ქალაქ ბათუმში, ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ე.წ. „კორტების“ ტერიტორიის (ს/კ: 05.22.01.005) კერძოს მესაკუთრისგან გამოსყიდვა;

საკრებულოს რეგლამენტის 106-ე და 108-ე მუხლების შესაბამისად, საზოგადოებრივი აზრის კვლევის ერთ-ერთი ფორმის მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარება რუსთაველის N44-ში დაგეგმილ მშენებლობასთან დაკავშირებით;

კახაბრის დასახლებაში დაგეგმილი ავტოსადგურის პარალელურად, ქალაქის განტვირთვისა და ეკონომიკური მიზიდულობის ახალი ცენტრების ფორმირების მიზნით აგრარული ბაზრისთვის ტერიტორიის გამოყოფა;

"ღია კარის სხდომის“ უახლოეს დღეებში ჩანიშვნა, ამომრჩეველთა მოსმენისთვის;

ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე მუნიციპალური ავტობუსებით მგზავრობის ნულოვანი (უფასო) ტარიფის დაწესების შესახებ წინადადება; ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკის დოკუმენტისა და სტრატეგიის წარმოდგენა.

წერეთლის ქუჩასა და სხვა მსგავს ადგილებში ვაჭრობის ლეგალიზაცია და მოვაჭრეებისთვის პირობების გაუმჯობესება;

საკრებულოსთან არსებული ახალგაზრდული საბჭოს შექმნა;

მუნიციპალური ქონების აღწერის პროცესის დაწყება;

შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტში" არსებული მდგომარეობის შესწავლა. თანამშრომელთა უფლებების დაცვა;

8. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა

მოქალაქეებთან შეხვედრა მიმდინარეობს ყოველდღიურ რეჟიმში. ვაგრცელებ ფლაერებს, მათ შორის სოციალური ქსელების მეშვეობითაც (იხ. დანართი N2), სადაც მითითებულია ტელეფონის ნომერი, ასევე შესაძლო შეხვედრის ადგილები, სადაც ვიზიტი ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე არის შესაძლებელი. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტიურად ვხვდებოდი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და სამოქალაქო აქტივისტებს, სხვადასხვა საპროტესტო აქციების მონაწილეებს, ქალაქის ინფრასტრუქტურულად მოუწესრიგებელი ქუჩების მოსახლეობას.

9. ამ შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა

400-მდე მოქალაქე.

10. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები

1. ავარიული სახლების საკითხი;
2. მწვანე სივრცეების საკითხი;
3. კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა;
4. მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში;
5. ქვაფენილსაფარიანი ქუჩების რეაბილიტაცია;
6. ბათუმის ზოოპარკის ადგილმონაცვლეობის საკითხი;
7. მოუწესრიგებელი ტურისტული ინფრასტრუქტურის საკითხი;
8. გარევაჭრობა;
9. ფასის ზრდა სამარშრუტო ტაქსებში;
10. ქაოტური და უსახური მშენებლობების საკითხი;
11. ბიუროკრატიული ბარიერები მუნიციპალურ ორგანიზაციებში;
12. კულტურული მემკვიდრეობის შენობებში ცხოვრებასთან დაკავშირებული ხარვეზები;
13. საცობებისა და პარკირების პრობლემები;

11. სხვა განხორციელებული საქმიანობები

საანგარიშგებო პერიოდში:

- მონაწილეობა მივიღე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრის“, ლონისძიების „ახალგაზრდების ინიციატივების მხარდაჭერის“ ფარგლებში, კონკურსის ჩატარების

მიზნით, შექმნილი სამუშაო ჯგუფის (კომისიის) მუშაობაში, სადაც განვიხილეთ და დაფინანსდა ბათუმელი ახალგაზრდების მიერ წარდგენილი ინიციატივები;

- მონაწილეობა მივიღე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ აქტივობებში;
- საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვხვდებოდი საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მკვლევარებსა და ექსპერტებს;

შედეგი, ეფექტი:

ამომრჩეველი მუდმივად იღებს ინფორმაციას განხორციელებული აქტივობების შესახებ. უზრუნველყოფილია ეფექტური უკუკავშირი. საკრებულოს სხდომაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით ვამზადებ ე.წ. „მოქალაქის გზამკვლევს“, რომელიც ქვეყნდება ჩემს ოფიციალურ გვერდზე, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოსაზრების, შენიშვნებისა და ინიციატივების წარმოდგენა.

საკრებულოს უმრავლესობა მიზანმიმართულად უშლის ხელს ოპოზიციონერი დეპუტატის მიერ საკრებულოს სხდომაზე საკითხის ინიცირებას, რითიც ირღვევა კანონი. მიუხედავად ამისა, შენიშვნებისა და რეკომენდაციების ნაწილი გათვალისწინებულია მერიის მიერ.

მოქალაქეებთან გამართული ინდივიდუალური შეხვედრებისას გამოკვეთილი პრობლემების გადაწყვეტა ხერხდება მერიისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებთან პირადი კომუნიკაციის მეშვეობით.

შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები:

შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითად პრიორიტეტებს წარმოადგენს:

- ბათუმის განაშენიანების გეგმის (გენ. გეგმის) საკითხზე მუშაობა;
- საბავშვო ბაღებში ვაუჩერიზაციის საკითხზე მუშაობა;
- ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის განხორციელების პროცესის მაქსიმალური გამჭირვალებისა და ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფა;
- ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
- საკრებულოს, როგორც მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქციების ეფექტურად გამოყენება და გაძლიერება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა;
- კორუფციის რისკების პრევენცია;

- საქალაქო ინფრასტრუქტურა;
- მოქალაქეთა უფლებების დაცვა და მუნიციპალური სერვისების მიღების პროცესში დახმარება;
- მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარ გამოწვევებზე (დიდი და მცირე ინფრასტრუქტურული პრობლემები, საცობები, ქაოტური და უსახური მშენებლობა, უსაფრთხო და კომფორტული ინფრასტრუქტურა ფეხით და ველოსიპედით მოსიარულეთათვის, ბიუროკრატიული ბარიერები...) სისტემური და ეფექტური რეაგირების მექანიზმების დანერგვა;

დანართი N1

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი აკაკი გვიანიძე - ინფორმაცია კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ

N	საკითხი	მომხრე	წინააღმდეგო	არ მონაწილეობდა	კომენტარი
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა - 30.05.2022					
1	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა.			X	
2	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევა.			X	
3	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცება.		X		კანონთან აშკარა შეუსაბამობის გამო, რაც გამოიხატა ორ კომისიაში უმრავლესობის უკანონოდ მოპოვებაში, მიღებული დადგენილება გავასაჩივრე ბათუმის საქალაქო სასამართლოში
4	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეების არჩევა.			X	

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა - 17.06.2022

1	„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.				X	მუხედავად ტექნიკური ხასიათის საჭირო ცვლილებებისა, მხარი არ დაუჭირე საკითხს, ვინაიდან, ვითხოვდი საკრებულოს რეგლამენტში ცვლილებების მომზადებას ინტერპარტიულ ფორმატში, საკრებულოს, როგორც მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქციების გასაძლიერებლად, რაც არ იქნა გათვალისწინებული.
2	„ქალაქი ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.	X				
3	„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.	X				
4	„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.	X				
5	„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.	X				
6	„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.	X				

7	„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.	X		
8	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.		X	წესი ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნების შესრულებას.
9	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში		X	შესრულების ანგარიშის დამტკიცება მოხდა კანონისა და საკრებულოს რეგლამენტის უხეში დარღვევით. კანონის თანახმად, საკრებულოს ანგარიში უნდა დამტკიცებინა 1 მაისამდე, ვადის გადაცილება ნიშნავს დაუმტკიცებლობას (საკრ. რეგ. მუხლი 67, პუნქტი 4).
10	„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულა-რული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.		X	ნებართვის ფასის სიმბოლურად 0.1 ლარით განსაზღვრა და მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული დავალიანებების ჩამოწერა კომპანიებისთვის არ ახდენს გავლენას სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის ფასზე. ცვლილება ეხება კომპანიებს და არა მძღოლებს. მუნიციპალიტეტი ვერ ახერხებს თვითნებურად გაზრდილ ფასებზე რეაგირებას და ნებართვის საფასურის ამოღებას კომპანიებიდან, რაც უარყოფითად აისახება მუნიციპალური ორგანოების იმიჯზე, აზარალებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტსა და მგზავრებს.

11	„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.	X			
12	„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.	X			
13	„სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.	X			
14	„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, აკაკი შანიძის ქუჩა N3ბ-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.	X			ახალი ნაგავსაყრელისთვის შუალედური პუნქტის მოწყობის მიზნით.

15	<p>„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.</p>		X		<p>არ იქნა გათვალისწინებული ჩემი ინიციატივა იმის შესახებ, რომ საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში მოხვედრილი მცირე ნაკვეთების (3-5 კვ.მ), რომლებიც მომიჯნავე ფართებია და ცალკე არ წარმოადგენენ ღირებულებას, გადასცემოდან მოქალაქეებს სიმბოლურ ფასად. დროის სიმცირის გამო შეუძლებელი იყო საპრივატიზებო ობიექტების სრულად შესწავლა. საკითხის მომზადების პროცესში არ მომხდარა საჯარო განხილვა და მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა.</p>
16	<p>„ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.</p>	X			<p>ავარიული სახლების საკითხის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ჩემ მიერ გამოთქმული შენიშვნების (მათ შორის დარეგისტრირებული სარდაფის, სხვენისა და ავტოფარების ფართში გათვალისწინების შესახებ) შემდგომში გათვალისწინების პირობით, კონსტრუქციული თანამშრომლობის მზაობის დემოსტრირებისთვის, ასევე, სხდომაზე ჩემ მიერ გაჟღერებული ინიციატივის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქალაქ ბათუმში ავარიული სახლების საკითხის შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის საკითხში თანამშრომლობის მიზნით, მხარი დავუჭირე საკითხს.</p>
17	<p>„მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით საცხოვრებელი ბინების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.</p>	X			<p>ე.წ. "იაფი სახლის" პროგრამის ფარგლებში, დამოუკიდებელი ორგანიზაციის მიერ შერჩეული, მოქალაქეებისთვის ბინების სარგებლობაში გადაცემა.</p>
18	<p>„ქ. ბათუმში, „ბათუმის ცენტრალური პარკი“-ს ტერიტორიაზე მდებარე ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.</p>		X		<p>არ ვეთანხმები "ბათუმის ცენტრალური პარკის" კომერციალიზაციას.</p>

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა - 19.07.2022

1	„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.		X		საბიუჯეტო ცვლილებების წარმოდგენილი პროექტი ძირითადად ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს. მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა ზოგიერთი მიმართულებით, შტატებისა და ადმინისტრაციული ხარჯების დაუსაბუთებელი ზრდა ეწინააღმდეგება BBD დოკუმენტში გაწერილ "მცირე მთავრობის" პრინციპს და იწვევს გადასახადის გადამხდელთა თანხების არამიზნობრივ ხარჯვას. გამომდინარე აქედან, მხარი არ დავუჭირე საბიუჯეტო ცვლილებებს.
2	„ქვეპროგრამის „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ ფარგლებში ფესტივალების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაკრგულების პროექტი.		X		მომხსენებლისგან მოვითხოვე შეეტანა ცვლილება პირველი მუხლის მე-2 პუნტში, რითიც კონკურსში მონაწილეობის უფლება ექნებოდა არა მხოლოდ იურიდიულ, არამედ ფიზიკურ პირსაც. ეს გაზრდიდა კონკურენციას. შეთავაზების არგაზიარების გამო არ დავუჭირე მხარი წარმოდგენილი წესის დამტკიცებას.
3	„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებისა და საკომპენსაციო ღონისძიების გამოყენების და ამ კანონით გათვალისწინებული სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.		X		ავარიული სახლების ჩანაცვლების პროექტის სწორად განხორციელების მიზნით ჩემ მიერ, კანონის მოთხოვნათა დაცვით, წარდგენილი ინიციატივის დღის წესრიგში კანონდარღვევით არჩასმის, ასევე, საკითხის განხილვის გადატანაზე უარის თქმისა (რასაც ოპოზიციასთან ერთად ითხოვდა სამოქალაქო საზოგადოებაც) და პროექტთან დაკავშირებული, მათ შორის, კორუფციისა და ურბანული მდგომარეობის გაუარესების რისკების გამო მხარი არ დავუჭირე საკითხს.
4	„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს შემოღების და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.		X		

5	<p>„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის N78 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაკრგულების პროექტი.</p>		X		<p>საკითხი დაკავშირებულია ავარიული სახლების პროგრამის განხორციელებასთან, რომელთან დაკავშირებით არსებულ შენიშვნები შეგიძლიათ იხილოთ მე-3 საკითხის გრაფაში. ამასთან, ხდება მერიის სისტემაში არსებული საშტატო რესურსის არასწორი გამოყენება, სწორი მენეჯმენტის პირობებში თანამშრომელთა დამატება არ ქინებოდა საჭირო.</p>
6	<p>„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაკრგულების პროექტი.</p>	X			
7	<p>„ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N9გ-15.15221684 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაკრგულების პროექტი.</p>		X		<p>მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ წესს მხარი დავუჭირე საკრებულოს წინა სხდომაზე, შემდგომ განვითარებული პროცესების გამო (პარლამენტში წარდგენილი ცუდი საკანონმდებლო ცვლილებები, ჩემ მიერ წარდგენილი ინიციატივის კანონის დარღვევით დღის წესრიგში არჩასმა, საკრებულოში წარმოდგენილი კორუფციის რისკების შემცველი წესი) არ დავუჭირე საკითხს მხარი.</p>
8	<p>„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.</p>	X			<p>წესი შესაბამისობაშია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსთან და უნდა შეუწყოს ხელი სამართალდამრღვევებისგან მათზე დაკისრებული ჯარიმების ამოღებას.</p>

9	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი		X	<p>გასულ სხდომაზე მიღებულ დადგენილებებში ცვლილებების შეტანა განპირობებულია სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოს მიერ გამოგზავნილი შენიშვნებით. წარმოდგენილი პროექტით დადასტურდა ის, რაზეც ვსაუბრობდით გასულ სხდომაზე, რომ ნაჩქარევად, სათანადო განხილვისა და ჩართულობის გარეშე რეგლამენტისა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი წესების დამტკიცება არ შეიძლება. ამასთან, საკრებულოსა და კომისიების სხდომებისთვის პოლიტიკური ბოიკოტის გამოცხადება იწვევს ფინანსურ სანქციებს, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.</p>
10	„ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაკრგულების პროექტი.	X		
11	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის № 79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაკრგულების პროექტი.		X	<p>საკრებულოს აპარატში ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა დაუსაბუთებელი ზრდა გაუმართლებელია. წარმოდგენილი ცვლილებით, დაგეგმილია არქიტექტორის აყვანა (იმ პირობებში, როდესაც მერიაში არსებობს პროფესიონალ არქიტექტორთა სამსახური) და პრესსამსახურში 2 კადრის დამატება, მაშინ, როდესაც ცვლილებამდეც საკმარისზე მეტი თანამშრომელი (4) მუშაობდა ამ მიმართულებით. ასეთი ცვლილებები ზრდის ადმინისტრაციულ ხარჯებს და ხელს უწყობს ნეპოტიზმსა და პარტიული აქტივის დასაქმების შესაძლებლობას.</p>
12	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაკრგულების პროექტი.			X

13	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობისათვის საწვავის ყოველთვიური ლიმიტების დაწესების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაკრგულების პროექტი.			X	
----	---	--	--	---	--

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა - 22.08.2022

1	<p>„ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების (განაშენიანების) გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.</p>		X	<p>მერიამ არ უზრუნველყო სხდომაზე გეგმის ავტორ-ექსპერტთა დასწრება, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ წარმოდგენილ დოკუმენტში ცვლილებების შეტანას. სათანადო საჯარო განხილვების გარეშე საკრებულომ სიიდან ამოიღო ექსპერტების მიერ შეუსაბამო მშენებლობად მიჩნეული „ამზასადორი“. მიუხედავად მოთხოვნისა, საკრებულოს სხდომას არ დაესწრო „ბულვარის“ ადმინისტრაციის წარმომადგენელი და დოკუმენტს არ ახლავს სამუშაოთა განხორციელების გეგმა-გრაფიკი.</p>
2	<p>„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.</p>		X	<p>შოთა რუსთაველისა და ეგნატე ნინოშვილის ქუჩებს შორის (რუსთაველის N44) არსებული ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება (კ2-ის გაზრდა 16.0-მდე). წარმოდგენილი კონცეფცია არის არაპროფესიონალურად შედგენილი. ექსპერტთა მსჯელობები და დასკვნები აცდენილია ერთმანეთს. კონცეფციაში უარყოფითად არის შეფასებული ზღვისპირა ზოლში მსგავსი მშენებლობები. ზოგიერთი ექსპერტის საჯარო განცხადებები და მსგავს პროექტებთან დაკავშირებით დაფიქსირებული პოზიციები მიუღებელია (მაგ: მარინე ხატიაშვილის პოზიცია „მეტეხის კლდესთან“ დაკავშირებით: „ცუდი პროექტია, მაგრამ კერძო საკუთრებას ვერ შევზღუდავთ“ და ა.შ.). კონცეფციაში აღნიშნულია, რომ არის რისკი რუსთაველის ქუჩის გამტარუნარიანობასთან დაკავშირებით. საზოგადოებრივი კვლევა მხოლოდ ფორმალურად და არასწორად განხორციელდა და რეალურად არ გამოხატავს ბათუმელთა დამოკიდებულებას. გენერალური გეგმის მიღებამდე ასეთი მასშტაბის მშენებლობები აზრს დამატებით პრობლემას უქმნის ქალაქს და აზრს უკარგავს შემდგომში მის დამტკიცებას. განხილვაში არ ჩართეს ბათუმის გენ. გეგმაზე მომუშავე ჯგუფი.</p>

3	<p>„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი უძრავი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.</p>	X			<p>მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური საფასურის განსაზღვა მახინჯაურში არსებულ მიწის ნაკვეთზე. აღნიშნული ტერიტორიისთვის კომერციული დატვირთვის მიცემა ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მოწესრიგდება ტერიტორია.</p>
4	<p>„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი უძრავი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.</p>	X			<p>მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური საფასურის განსაზღვა კახაბრის დასახლებაში (სამრეწველო ზონა) არსებულ მიწის ნაკვეთებზე. ტერიტორიაზე მოეწყობა ახალი ავტოსადგური ზემო აჭარიდან ქალაქისკენ და პირიქით მოძრავი სამარშრუტო ტაქსებისა და ავტობუსებისთვის. შეიქმნება ეკონომიკური მიზიდულობის ახალი ცენტრი. ქალაქი განიტვირთება ზემდეტი ტრანსპორტისგან.</p>
5	<p>„ქალაქ ბათუმში, 26 მაისის ქ. N45-ში არსებულ არასაცხოვრებელ შენობაზე თორნიკე კიპაროიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.</p>	X			
6	<p>„ქალაქ ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქ. N33-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე დურსუნ ჩერქეს-ზადეს მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.</p>	X			

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა - 22.08.2022

1	„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე – ანგისის ქუჩაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.			X	ქალაქ ბათუმში, ანგისის ქუჩაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცალმხრივი მოძრაობის დაწესება (შ) დავით აღმაშენებლის ქუჩის წრიულიდან გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩის კვეთამდე. წარმოდგენილი საკითხი არ არის ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკის ნაწილი, არ არის გათვლილი მოსალოდნელი შედეგები.
2	„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე – მარუხის ქუჩაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.			X	ქალაქ ბათუმში, მარუხის ქუჩაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცალმხრივი მოძრაობის დაწესება (შ) შავშეთის ქუჩიდან სოხუმის ქუჩის მონაკვეთამდე. წარმოდგენილი საკითხი არ არის ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკის ნაწილი, არ არის გათვლილი მოსალოდნელი შედეგები.
3	„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.	X			წარმოდგენილი პროექტით ავტობუსის ახალი მარშრუტი იქნება - „სვიშევის ქ. - ნიჟარაძის ქ. - მაიკოვსკის ქ. - შავშეთის ქ. - ბაქოს ქ. - ჭავჭავაძის ქ. - ბარათაშვილის ქ. - გორგილაძის ქ. - ფიროსმანის ქ. - ინასარიძის ქ.- კობალაძის ქ. - აღმაშენებლის ქ. - ტაბიძის ქ. - ლეონიძის ქ. - აღმაშენებლის ქ.“ ცვლილების საფუძველია სკოლის მოთხოვნა.
4	„ბავშვზე მორგებული ქალაქის ინიციატივის (CFCI) განხორციელების 2022-2025 წლების სტრატეგიისა და 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.	X			დოკუმენტი მომზადებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით და გათვალისწინებულია აუცილებელი ღონისძიებები, რაც გააუმჯობესებს ბავშვების მდგომარეობას.

5	<p>„მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ ფარგლებში პროგრამაში მონაწილე პირველ და მეორე ეტაპზე უკვე ჩატარებული კვლევების შედეგად მინიჭებული 40 000 ქულიანი ოჯახებისათვის საცხოვრებლის გადაცემის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.</p>	X			<p>„ხელმისაწვდომი საცხოვრისის (იაფი სახლი)“ პროგრამის ფარგლებში, პირველ და მეორე ეტაპზე უკვე ჩატარებული კვლევების შედეგად მინიჭებული 40 000 (ორმოცი ათასი) ქულიანი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების გადაცემის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცება. წარმოდგენილი პროექტით, პირველ რიგში, უნდა დაკმაყოფილდნენ 40 000 ქულიანი ოჯახები, თუ მათ მიერ წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრული განახლებული დოკუმენტაციით აპლიკანტი ოჯახის ბინის გადაცემის შანსი პროგრამის მიხედვით არ არის განულებული.</p>
6	<p>„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით განსაკარგი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების 1 კვმ-ს საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.</p>		X		<p>წარმოდგენილი საკითხი არ არის ერთიანი პოლიტიკის ნაწილი, პროცესი არ არის გამჭვირვალე, რაც ქმნის კორუფციის რისკებს.</p>
7	<p>„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, გორგილამის ქუჩა N91-ის მიმდებარედ არსებული 19,0 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.</p>	X			<p>ქ. ბათუმში, ზ. გორგილამის ქ. N91-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით (მოქალაქე გულნაზ ბოლქვაძე-ხარაზისთვის) სარგებლობაში გადაცემა</p>
8	<p>(კორექტირებული) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.</p>	X			

9	„ბათუმის ღამის თავშესაფარში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილების პროგრამული ღონისძიების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.	X			სოციალურად დაუცველ ექვს ოჯახს გადაეცემათ ბინები.
10	„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, მდ. ბარცხანას და მდ. ყოროლისწყალს შორის მდებარე 3445 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.		X		"ამბასადორის აილენდისთვის" ერთ ლარად, 5 წლის ვადით მიწის ნაკვეთის გადაცემა. ხელოვნური კუნძული / ნახევარკუნძულის პროექტის შესახებ არ არის საკმარისი ინფორმაცია. ექსპერტების ნაწილი მიგვითითებენ რისკებზე. საკრებულო იგნორირებულია.
11	„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა N47ა-ს მიმდებარედ არსებული 77 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.	X			შ. ხიმშიაშვილის ქ. N47-ში არსებული 77 კვ. მ. ნაკვეთის გადაცემა "ენერგო პრო ჯორჯიასთვის" ტრანსფორმატორის მოწყობისთვის.
12	„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, შავშეთის ქ. N26-ში, I სართულზე მდებარე ფართის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (39,28. კვ.მეტრი ფართი).	X			შავშეთის ქ. N26-ში არსებული ფართის (39.28 კვ.მ.) გადაცემა აჭარის მთავრობისთვის, შემდგომში ფაქტობრივი მფლობელი მოქალაქისთვის გადაცემის მიზნით.
13	„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, შავშეთის ქ. N26-ში, I სართულზე მდებარე ფართის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (47,77. კვ.მეტრი ფართი).	X			შავშეთის ქ. N26-ში არსებული ფართის (47.77 კვ.მ.) გადაცემა აჭარის მთავრობისთვის, შემდგომში ფაქტობრივი მფლობელი მოქალაქისთვის გადაცემის მიზნით.

14	<p>„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.</p>		X	<p>შოთა რუსთაველისა და ეგნატე ნინოშვილის ქუჩებს შორის (რუსთაველის N44) არსებული ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცება (კ2-ის გაზრდა 16.0-მდე). წარმოდგენილი გეგმა არის არაპროფესიონალურად შედგენილი. ექსპერტთა მსჯელობები და დასკვნები აცდენილია ერთმანეთს. დოკუმენტში უარყოფითად არის შეფასებული ზღვისპირა ზოლში მსგავსი მშენებლობები. ზოგიერთი ექსპერტის საჯარო განცხადებები და მსგავს პროექტებთან დაკავშირებით დაფიქსირებული პოზიციები მიუღებელია (მაგ: მარინე ხატიაშვილის პოზიცია „მეტეხის კლდესთან“ დაკავშირებით: „ცუდი პროექტია, მაგრამ კერძო საკუთრებას ვერ შევზღუდავთ“ და ა.შ.). კონცეფციაში აღნიშნულია, რომ არის რისკი რუსთაველის ქუჩის გამტარუნარიანობასთან დაკავშირებით. საზოგადოებრივი კვლევა მხოლოდ ფორმალურად და არასწორად განხორციელდა და რეალურად არ გამოხატავს ბათუმელთა დამოკიდებულებას. გენერალური გეგმის მიღებამდე ასეთი მასშტაბის მშენებლობები აზრს დამატებით პრობლემას უქმნის ქალაქს და აზრს უკარგავს შემდგომში მის დამტკიცებას. განხილვაში არ ჩართეს ბათუმის გენ. გეგმაზე მომუშავე ჯგუფი.</p>
15	<p>„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.</p>	X		<p>ბარაკული ტიპის ნაგებობები უნდა ჩანაცვლდეს ახალი სახლით, რითიც გაუმჯობესდება იქ მცხოვრებთა კომუნალური პირობები. პროექტით არ იზრდება "კ2"</p>
16	<p>„ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 თებერვლის #8 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 აგვისტოს N45 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.</p>			<p>X</p> <p>მერიისთვის ზოგიერთ სასამართლო პროცესზე წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. საკრებულომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, მიუხედავად ინიციატორისა.</p>

17	„ქ. ბათუმში, ძმები ზუბალაშვილების ქ. N36 მდებარე საცხოვრებელ სახლზე, გამოჩენილი ქართველი გეოფიზიკოსის, მეცნიერის, რომის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის პეტრე მანჯგალაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.	X			
----	---	----------	--	--	--

**დაურეკე შენს
წარმომადგენელს საკრებულოში!**



საქართველოსთვის

577 93 00 50
აკაკი გვიანიძე

თუ შენ ცხოვრობ ბათუმში და

- გჭირდება დახმარება მუნიციპალური ან სახელმწიფო სერვისის მიღებაში;
- გაქვს პრეტენზია ან საჩივარი მერის ან რომელიმე მუნიციპალური ორგანოს მუშაობასთან დაკავშირებით;
- გაქვს იდეა ან პროექტი, რომელიც გინდა განახორციელო შენს ქალაქში;
- სახელმწიფო ან მუნიციპალური ორგანო არღვევს შენს უფლებებს;

**დაურეკე შენს
წარმომადგენელს საკრებულოში!**

შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნებისმიერ სხვა საკითხთან დაკავშირებითაც, რომლის მოგვარებაც არ აღემატება ჩვენი გუნდის ძალებსა და შესაძლებლობებს!

ასევე, ყოველგვარი ნინასნარი შეთანხმების გარეშე, თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ მოქალაქეთა მიღების საათებით:
ორშაბათი-პარასკევი, 09:00-12:00,
მის: ლუკა ასათიანის N-25 (ქ.ბათუმის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა)

მოქალაქეთა მიღების საათები:
ორშაბათი-პარასკევი 10:00 - 18:00
მის: მარიაშვილის N25 (მარიაშვილისა და ფარნავაზ მეფის კვეთა) მეორე სართული (პარტია "საქართველოსთვის", ოფისი)